

გუშაბა სალინაძე,  
აფხაზეთიდან ლტოლვილი.



**ოჯახური ტრადიცია  
გრძელდება**

ამ გაუსაძლის, ტანჯვითა და ვეებით აღსავსე დროში, როცა ცხოვრების უმძიმეს პირობებს ნერვიულ სტრესში ჩაუვდილა ადამიანები, ოდნავი თბილი, ყურადღებოანი მოპყრობაც კი მაღალსაფეხო ედგება გულს და ამეღის ნაპერწკალს ადამიანებს სულში.

ამ მხრივ ბევრი მოედხ-  
ეფებათ მომსახურების  
სფეროში დასაქმებულ  
აღამიანებს, მაგრამ თუ  
ბუნებით არა ხარ აღამი-  
ანთა მოყვარე, ხასიათში არ  
ცხადება სუათა ჭირის გაზი-  
არება, რაც არ უნდა ეცა-  
დო, შენთან მოსულ ადა-  
მიანებს სიამოვნებას ვერა  
და ვერ მიანიჭებ.

თბილი, ყურადღებანი  
 დამოკიდებულებით ხასია—  
 თდებოდა კავშირგაბმულ—  
 ობის მორიგე—ტელეფონ—  
 ისტი თამარ ხეცურიანი—  
 ცვარიანი, რომელმაც ოთხი  
 ათეული წელი დაჰყო ამ  
 სამუშაოზე, და ამ ხნის  
 მანძილზე ვინ იცის მისი  
 თბილი, ტკბილი და ყურ—  
 ადღებანი დამოკიდებულ—  
 გბით რამდენ ადამიანს  
 მიანიჭა სიამოვნება, დაამ—  
 ახსოვრა თავი, ადამიანებმა  
 იცოდნენ, ზეპირად ახსოვ—  
 დათ ქალბატონი თმარის  
 სიმორიგეო დღე და თუ  
 გადაუდებელი რამ არ იყო,  
 ყოველთვის ცდილობდნენ

ამ დღეს მისულიყვნენ ქალაქის სალაპარაკო სადგურში. იგი თავს ვადანდებდა და იმ წუთში თუ არა, იმ ღამით მიიწვ გამოიძახებდა, აუცილებლად დაგვავშირებდა სასურველ მომერს.

დედის კვალს გაჰყვა  
თამარის ქალიშვილი დღლი  
ცვარიანი, იგი კავშირგაბმ-  
ულობის რაიონული კვანძი  
ძეგლმენეა, ოჯახურ საზ-  
რუხავთან ერთად იგი ახ-  
რებებს ადამიანებისადმი  
ყურადღებანი დამოკიდებ-  
ულობას, ასეა, კვიცი გვა-  
რზე ზტისო, ნათქვამია და  
არც ამ ახალგაზრდა ქალს  
აკლია მადლოერი და მისი  
ნომსახურებით კმაყოფილი  
ადამიანები, ეს არც ისე  
ადვილია დღეს, როცა ათ-  
ასი გაქირვებული, თავისი  
ბუდიდან აყრილი და გზა-  
აზნეული ადამიანები შემ-  
ოდინ სალაპარაკო სადგ-  
ურში, ზოგი შვილს ეძებს.  
ზოგი დედ-მამას, ზოგიც  
მეუღლისა თუ სხვა უზ-  
ღოფის ადამიანთა ძებნაშია  
დაღლილი.

დემეტრე ამრავლოს  
დედა—შვილის, თამარ და  
დალი ცვარიანების მსგავსი  
ადამიანები ჩვენს ირგვლივ,  
რომ ეს მძიმე ყოფა ოდნავ  
მაინც შეგვიმსუბუქდეს.

გ. გეზველიანი.

ქ. ცაგერო.

საგვურნალო, არონტულის

მსოფლიოში გავრცელება—  
ული პიტნის 25 სახეობიდან  
ჩვენში მხოლოდ 14 იზრდება.  
გავრცელებაშია როგორც  
კულტურული მცენარე, იშვ—  
ითად იზრდება ველურ  
პირობაშიც

მედვიცინაში უპირატესად  
გამოიყენება კილიკლა პიტანა.  
იგი მრავალწლოვანი, 80  
სანტიმეტრამდე სიმაღლის,  
ძლიერი არომატული სუნის  
მქონე ბალახოვანი მცე-  
ნარმა აკვს მუში მუწანე  
ფოთლები, ჰჰავის ივლის—  
ილან სექტემბრამდე. ყვავილი  
მერტალი იისფერია, მრავ-  
ლდება ვეგეტატიურად

გაურნალოების მიხედვით  
გამოიყენება კიბნის ფოთ—  
ლაზე, რომელსაც აბრკვებენ  
მზრალ პინდში ყვავილო—  
ბის დაწყებისთანავე, აზრ—  
რებენ ჰაერზე, ჩრდილში და  
ინახავენ მზრალ ადგილას და  
ხურულ მდგომარეობაში.

პიტონის ფოთლაგზი ზედი—  
 აშენ ეთეროვან ჯათს 2,5—6  
 პროცენტამდე, რომლის  
 მთავარი შემადგენელი ნაწ—  
 ილია მანეთლი (50—80  
 პროცენტი), ტანდნახს 8—12  
 პროცენტამდე მწარე ნივთ—  
 იარებახს, ლიმონანს, ცინე—  
 ილს, მიკროალმანტახს:  
 სპილენძს, ავანთუმს, სტრო—  
 ნციუმს და სხვა

მენტოლის კრისტალები,  
რომლის მიიღება პიტნის  
გადაფუშავებით. მელიციტინი  
გამოიყენება როგორც საუ—  
კეთესო საჭულე, ტკივილ—

დამავსებადო, სპეციფიკი-  
ური და ანიმეზკალური  
სახელები. შედის გლიდო-  
ლის, კიკალოლის, ვალო-  
კარდინის, ჯაღდინის წვეთ-  
ების, კეჭუნიის, მანოკა-  
ნის, ბალზამ „ოქროს ვარ-  
სკვლავის“ და სხვათა შემ-  
ადგენლობაში.

პიტინს ფრთლები და მი—  
სხან მიღებული ფარმაცევ—  
ტული პრეპარატები (პიტინს  
ეთეროვანი ზეთი, ალკო—  
ჰოლნაჟენი—პიტინის წვეთები)  
ფარმაცევტ ბაჰოიყანავა, რე—  
გორც მადისმოფერებელი, წა—  
ვის დაჰფვი, გულისრების  
მუცლის გარვის, ლოკინის  
საწინააღმდეგო საშუალება,  
ხალს უფუტხს საკვების გა—  
დ. მუშაებას, ამცირებს  
კუჭის მომამბულ მუშვიან—  
ობას.

მოკლეს პირობებში ვინც  
ფრთხილვასა და წაღლი  
სამეტი წმინთი უნდა დავაშა  
ადრთ: 1 სუფრის კოვს პი  
ტნის დაქუცავებაზე ფრთ  
ლავს მინის ან ქოშინაწაქა  
გულ ვერძელში დავასხა 1  
ჩანის მიძა მელდამა წაღლი  
დავახუროთ და 30 წუთის  
შემდეგ გავწუროთ. დაღლი  
მთ 4-ჯერ დღეში სუფრის  
კოვზეთი ვამის წინ ან ვის  
მაროთ პირობი გავოცავლავა  
ამ პირობი ღრუხა და ღრძი  
ლავის ანთებითი პროცესების  
ღრმს

გარდა აღნიშნულისა, კი—  
ტნის ჩაი გამორჩევა სასი—  
ამოვნო გემოთი და არომა—  
ტი.

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

აფხაზეთის ომმა კიდევ ერთი ლეჩხუმელი  
ღირსეული ვაჟი იმსხვერპლა

დეთო ბრეგვამე

აფხაზეთის ომმა მრავა-  
ლთაგან კიდევ ერთი ღი-  
რსეული მამულიშვილის,  
მოქალაქისა და ნაღდი ვა-  
ჟაკის სიცოცხლე შეიწი-  
რა. დანაწევით ვამბობთ  
შეიწირაო, თორემ ღირს  
ერის გასაჭირს მთელი შე-  
ნი ცხოვრება და სიცო-  
ნლე შეწირო, ღირს უძ-  
ეოდ გაქრე ამ ქვეყნიდან,  
მაგრამ შენი სული სანთ-  
ლად აუნთო შენს ერს და  
მამულს, არდავიწყების სა-  
სუფეველში დაიდო სამ-  
უდამო ნავსაყუდარი. გმი-  
რობაზე არასდროს უფ-  
იქრია, მხოლოდ მამულის  
ღირსეულ სამსახურზე ფი-  
ქრობდა დათო ბრეგვაძე  
და ასეთად დარჩა იგი  
ჩვენს მეხსიერებაში-ქარ,  
თულ მიწას შეეყვარებული  
ნათელი კაცი.

მოქალაქეობრივი მრწა-  
მსი და მაღალი ნიჭიერება  
მის ბიოგრაფიასაც ეტყო-  
ბა, დაიბადა 1944 წელს.

„ვერცხლის“ მედალზე და  
ამთავრა საშუალო სკოლა,  
წარჩინებით — ბილისის სა  
ხელმწიფო უნივერსიტეტ —  
ის კიბერნეტიკის ფაკულ —  
ტეტი. მთელი ცხოვრება  
დაუკავშირა სამცხიერო —  
საწარმო გაერთიანება  
„მიონს“, რესპუბლიკის მრე  
წველობის ერთ — ერთ  
ფლაგმანს, მუშაობდა რი —  
გით ინჟინრად, მთავარი კო  
ნსტრუქტორის მოადგილედ,  
წამყვან ინჟინრად, საამქ —  
როს უფროსად, მთავარ  
ტექნოლოგად. იყო „მიო —  
ნის“ თელავის ფილიალის  
დირექტორი. 1991 წლიდან  
კვლავ მშობლიური ქარხნის  
მთავარი ინჟინერი. არის  
რამდენიმე მეცნიერული  
გამოგონებრს ავტორი.

დათო ბეგვამდეს ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი თელის მშობლიურ რაიონთან, იდგა საშეფო საქმიანობის სათავეებთან, ეხმარებოდა სკოლებს, ყავშირგაბმულობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და ელექტროქსელციხის სისტემებს, ადამიანებს, რომლებსაც უჭირდათ, სამერმისო საქმიეებზე ფიქრობდა და რაიონის მშრომელებთან მუდმივ კონტაქტში იმყოფებოდა. მისი მრავალმხრივი საქმიანობა კიდევ უფრო გამჟღავნა მას შემდეგ, რაც იგი ვარლამენტის წარმომადგენლად დანიშნეს ცაგერის

რაიონი, ახლა იგი სამსახურებრივადც მშობლიურ რაიონსა და მის მშრომლებს დაუკავშირდა. დადგა ჩანაფიქრის განხორციელების ყველაზე ხელსაყრელი მომენტი და სწორედ ამ დროს მოითხოვა სამშობლომ მისი სიცოცხლე და იგიც უყოყმანოდ შეეწირა მას. მტრის ტყვეით აღმოდებული თვი მიფრინავს, რომლითაც სამშობლოც ერთგული პატრონობით გადაჰყავდათ აფხაზეთში მომხდური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, სოსუმის აეროპორტში მიწას დაენაცხა, აფეთქდა და შავად ასვეტილმა კვამლმა რამდენიმე ათეული ქართველი ვაჟა-ცის სიცოცხლე თან გაყოლა. მათ შორის იყო დათო ბრეგვაძეც, რომლის საფლავი გაუკუღმართებული ცხოვრების გამო ახლაც იქაა, სოსუმის მახლობლად, თანამოდმეთა გვერდით, ხოლო სული—არ დაიწყების სასუფეველში.

ასე დაასრულა თავისი ღამაში ცხოვრება დათო ბრეგვაძემ და ასე დაიწყებს სამშობლოზე უშვილძიროდ გადაგებული ახალგაზრდა ახალ სიცოცხლეს, რომელსაც ერისა და ქვეყნისათვის თავდადებულთა არდავიწყება ჰქვია.

ცაგერის რაიონული სა  
კრებულოს გამგეობა.

კაცი, რომელიც დააკლდა ლეჩუმს

იქნება ვინმესათვის არც  
იყავი აქაური, იქნება ვინ-  
მესათვის კარიერისთვის იყ-  
ავი ჩამოსული... ღმერთმა  
ხომ იცის და სხვამ თუ  
არა, განათლების სისტემის  
მუშაკებმა მიინც, რომ მა-  
შინაც, როცა იქ, დედაქა-  
ლაქში დიდ თანამდებობა-  
ზე მუშაობდი, ღერხუმე-  
ლი იყავი და ღერხუმი-  
სათვის იყავი.

ინტელექტუშითა და ბუნებრივი არისტოკრატის მით სავსე საოცარი უბრალოებითაც გამოირჩეოდი, სინდის—ნამუსიანობით ვერავინ შეგდებოდა, ვერც ადამიანებზე მსრუწველობაში შეგეჯიბებოდა ვინმე.

დათო ბრეგვაძემ რამდენჯერ გაცნო თავი რაიონს, როგორც მისმა ერთგულმა დამხმარემ, მე არ დამითვლია, ამავე რაიონის სკოლებს რომ სამუდამოდ დამასახლავს თავი რამდენჯერმე, ეს კი დანაშაულებით ვიცი, რომელი ერთი გავისვენოთ: ცაგერის,

ლუხვანოს, ჩხუტელის სკო-  
ლებსათვის ბიოქიმიის ინ-  
სტიტუტიდან ძვირადღირ-  
ებული ქიმიური ხელსაწ-  
ყოების, ლაბორატორიული  
ჭურჭლებისა და ქიმიური  
რეაქტივების, შე-  
ფობის წესით გადმოცემა,  
ცაგერის, ბარდნალის, ლა-  
ხურიაშის სკოლებსა და  
ლაჭანის სკოლა-ინტერ-  
ნატში გამოთვლითი ტექ-  
ნიკისა და ინფორმატიკის  
კაბინეტების დამონტაჟებ-  
ისა და ფიზიკის კაბინე-  
ტების მატერიალურ-ტე-  
ქნიკური ბაზის შევსებისა-  
თვის განსაკუთრებული  
მზრუნველობა...

სამუშაო მაგიდაზე ფუ-  
რცელზე ჩამოწერილი და-  
რჩა 25—მდე საკითხი, რო-  
მელიც რაიონისათვის უნდა  
მოეგვარებინა. მათ შორის  
მერვე საკითხი იქნება ყვე-  
ლაზე იოლი გადასაწყვეტია,  
მაგრამ ჩვენი სკოლებისა-  
თვის პრობლემა...

ოთარ ქავთარაძესთან  
37-26-85 ცარცის გამ-  
ოგზავნა განათლების გან-  
ყოფილებისათვის - ვკით-  
ხულობ ამ ჩანაწერს და არ  
შეიძლება გული არ შეგი-  
კუმშოს...

იმ შაბათს ცაგერის აღ-  
გილობრივი ტელეანძილ-  
განცხადებას გადმოსემ-  
დნენ და აფხაზეთში საო-  
მრად უხმობდნენ ყველას,  
ვისაც ვაჟაკი ერქვა, მე  
სოფელში მივდიოდი, ის იმ  
სოფლიდან აბგააკიდებული  
მოიჩქაროდა, საოცრად გა-  
წიწრული მწერა შემომა-  
გება, ვერაფერი ვუსურვე...  
ძმათამკვლელ ომში რომ არ  
მიდიოდა, ქართველს რომ

მეგობარი, ეს ვიცოდით...  
მივიღა რაიონის საკრებულოში, 20 000 კუბონი  
მიიტანა, თავად კი ომში  
წავიდა...  
წავიდა და აღარ დაბრუნდა. უთვისტომოდ დაბრუნდა—  
მგო. სახელია დარჩა, კაცური კაცის სახელი.

ლელა ლომთაძე.

# ძველმაც მოატანა ძეგლი

(დასასრული)

ანალოგიური მდგომარეობა განათლების სისტემაში, სკოლების და საბავშვო ბაღების მეტი წილი შეიძლება ითქვას გათბობის გარეშე დარჩა. სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობა შემოგვედგება ალბათ, რომ მოვიტანეთ შეშაო, განა მიტანა როცა ცაგერის საშუალო სკოლისათვის 140 კუბური მეტრი უნდა მიეტიანთ და მიეტიანეს 70, ჩხოტელის საშუალო სკოლაში 60 კუბური მეტრიდან მიეტიანეს 20 კუბური მეტრი, ქვედა ცაგერის არასრულ საშუალო სკოლაში—50 კუბური მეტრიდან—20 კუბური მეტრი, ქალაქ ცაგერის ნომერ პირველ ბაღში 40 კუბური მეტრიდან 10 კუბური მეტრი, № 2

ბაგა—ბაღში 40 კუბური მეტრიდან—20 კუბური მეტრი. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება, რედაქცია—სტამბა, მოსწავლეთა სახლი, კულტურაგანმანათლებლო და წესებულებები და სხვა, სადაც არც ერთი კუბური მეტრი შეშა არ მიეტიანა სახელმწიფო სატყეო მეურნეობამ. მიზეზი—ავტომანქანები არ გვყავს, საწვავი არ გვაქვს, არ დაეღიათ ფაქტურად ავტომანქანებიც ყავდათ და საწვავიც ჰქონდათ, მაგრამ რატომ არ მიეტიანეს ამას თუ გარკვევს კომპეტენტური ორგანოები კარგი იქნება, რაიონში რაც დიხელის საწვავი მოვიდა მეტიწილი რაიონულმა საკრებულომ

სატყეო მეურნეობასა და მათ მსგავს ორგანიზაციებს გაუთავისა, მათმა კი არ იზრუნეს შეშის შემოტანისათვის. ამიტომ იყო წარმოება—დაწესებულებათა ხელმძღვანელების თათბირზე თუ სხვა ღონისძიებებზე რამდენჯერმე დაისვა საკითხი გამოეყოთ კომისია და შეემოწმებინათ გამოყოფილი საწვავის რეალური ხარჯვა. სიტყვიერი დაპირებები ბევრი იყო, ფაქტურად კი არაფერი გაკეთებულა დღემდე, რაც საწვავი შემოვიდა ის რომ ზამთრისათვის მზადებას მოხმარებოდა, დღეს აღნიშნული ორგანიზაციები ასე მოუმზადებელი არ შეგვდებოდნენ ზამთარს და წარმოება—დაწესებულებები სამუშაო საათებში მეტიწილად გამოკეტილი არ იქნებოდა.

## მოხარდი—უწირველესი საზრუნავი

### საბავშვო ჯგუფი უბავშვებოდ?

მიუხედავად უთვალავი საზრუნავ — საფიქრალისა, საქართველოს უპირველესი საზრუნავი კვლავ ჩვენი პატარების ყოფა—ცხოვრებაა, იმ პატარებისა, რომლებიც ჩვენთან ერთად ინაწილებენ ომის სუსხიან დროის ტკივილებს, ასე უღვთოდ და უმოწყალოდ რომ თრგუნავს მათ ბავშვურ სურვილებს. ამ სურვილების ასრულება დღეს ძალზე ძნელია, მშობლების უმეტეს ნაწილს მთელი თავიანთი ფინანსური შემოსავალი ბავშვებისათვის აუცილებელ კვების პროდუქტებსა და ტანსაცმელზე ეხარჯება, ბავშვის სრულფასოვან აღზრდას კი გაცილებით მეტი სჭირდება, ამიტომაც თითქმის მთელი დღის განმავლობაში სამუშაოზე იმ ყოფილიან მშობლები, ხოლო ბავშვების აღზრდა საბავშვო ბაგა—ბაღებს აქვთ მინდობილი. ცაგერის №2 საბავშვო ბაგა—ბაღში ამჟამად ექვს ასაკობრივ ჯგუფში 120 ბავშვია, აქვეა ცაგერის საშუალო სკოლის პირველკლასელთა ერთი ჯგუფი, ორი თვის წინ დეკემბერი 19 აღსაზრდელიც მიიღეს, ისინი საბავშვო ბაგა—ბაღის ყველა ასაკობრივ ჯგუფში ირიცხებიან, ცხადია, საბავშვო ბაგა—ბაღი, რომელსაც ასეთი ფართო კონტიგენტი ჰყავს, ჩვეულებრივ, დღე—ვანდელ პირობებში არაერთი პრობლემის წინაშე დგას, მართალია ამ პრობლემათა მრავალფეროვნებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ვფიქრობთ, ბევრს დააფიქრებს ჩვენი მომავლის ახლანდელი ყოფა. საბავშვო ბაღში ბავშვების მხიარული ხმები რომ არ მოგვემა, გვეუცხოვრა, მაგრამ ვიფიქრეთ, ზამთარია და პატარებიც ალბათ ღუმელებთან არიან თავმოყრილი—თქო, მაგრამ სააღმზრდელო ჯგუფებში მისულებისათვის ცხადი გა

ხდა ამ უჩვეულო სიწყნარის მიზეზი, ღუმელებთან მართლაც შეკრებილიყვნენ პატარები, მაგრამ მათი რიცხვი სამ—ოთხს თუ აღწევდა. უკვე ხუთი დღეა საბავშვო ბაგა—ბაღში პურის ფქვილი არა გვაქვს და მშობლები იძულებული გახდნენ შვილები შინ დაებრუნებინათ—გვითხრეს აღმზრდელებმა. პურის გამოცხობა გვიჭირს, საბავშვო ბაღის სამზარეულოში ვაცხობთ, ამიტომ მისი ხარისხი არაა სახარბიელო, ახლა კი ისიც არა გვაქვს—გვითხრა ქალბატონმა მარიამ გამსახურდიამ, რომელიც ჩვენი საბავშვო ბაღში სტუმრობის დროს საბავშვო ბაღის გამგის მოვალეობას ასრულებდა. უპურობის მიზეზი საბავშვო ბაღის მწემა დალი ცვარიანმა და ჩვენთან მოსაუბრე აღმზრდელებმაც ასე აგვიხსენეს: პურის ფქვილი ვთხოვეთ ყველას, ვისაც მეტ—ნაკლებად ეხება საბავშვო ბაღისათვის მისი მიწოდება, მაგრამ ჯერ—ჯერობით ვერ მივიღეთ, გვაიმედებენ, ამ დღეებში მოგაწოდებოთ, მათვე გვითხრეს, რომ კარგა ხანია არ მიუღიათ შაქარი, არა აქვთ ჩაი, საკვებად ლობიო, კომბოსტო, ხორცი აქვთ, მაგრამ ეს საკვებიც მხოლოდ ათი დღის მარაგი თუ იქნება, ერთადერთი საკვები ზეთი აქვთ საჭირო რაოდენობით, როგორც შემდეგ გავარკვეთ, უპურობის მიზეზით საერთოდ არ მზადდება არც საუზმე და არც სადილი, მშვიერი ბავშვები კი ამაოდ ელიან სადილს. საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა შინიდანაც კი მოიტანეს „პავიდლო“, რომ ბავშვებისათვის დილის საუზმეზე მიგვეწოდებინათ—გვითხრა აღმზრდელმა იზო ბობოხიძემ. საკვებს უფრო ხშირად კომერციულ ფასებში იძე

ნენ, მაგრამ ფასების ასეთი ზრდის პირობებში მომავალში გაუჭირდებათ პროდუქტების შესყიდვა. ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფა მოითხოვს, ასეთი სახის დახმარება პირველ რიგში საბავშვო ბაღებს ეკუთვნის—თო, განაცხადეს აღმზრდელებმა. რაც შეეხება დევნილებს, აქ ლტოლვილის ბედს ნაზიარებ პატარებს კეთილად შეხვდნენ, ამის დასტურია ერთ—ერთი მშობლის ნათქვამი: ამ საბავშვო ბაღში რომ მოვიყვანე ბავშვი, ასე მეგონა ჩემი შვილი ახლობლებს ჩავაბარეო. საუბარმა საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან, მათთან, ვისაც ყოველდღიურად აქვთ ურთიერთობა ბავშვების ცხოვრების ყოველ წვრილმანთან, ერთხელ კიდევ დაგვანახა თუ რამდენი საჭირობოროტო საკითხი ითხოვს დროულ გადაწყვეტას, მოგვარებას, ამ საკითხთა შორის უმეტესობა, ჩვენი მძიმე ყოფის გამო, დღეს მეორეხარისხოვნად გვექცა, მაგრამ ბავშვების კვების, სიბოძის, სისუფთავის პრობლემა უნდა გადაიჭრას, რის ფასადაც არ უნდა დაჯდეს, ამაზე დიდი საზრუნავი არა მგონია გვქონდეს, რასაც ვაქეთებთ, ხომ მომავლისათვის ვაკეთებთ, და თუ ჩვენს მომავალს—ბავშვებს—პური და ჩაი მოენატრათ, მათ ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება, ერს კი ჯანგაბეხილი, ავადმყოფი თაობა ვერაფერს არ გავს. ეს თაობა დღეს საბავშვო ბაგა—ბაღში იზრდება და უფროსებისაგან მაქსიმალურ ყურადღებას და მზრუნველობას მოეღოს, ნუ იქნება ეს მოლოდინი გაურკვევლობის ბურუსით მოსილი უპასუხისმგებლობის, გულგრილობის მიზეზი. ლ. ცხველიანი, ჯ. მანდარი.

## თეატრი და მაყურობა

### დიდი სიძნელეების მიუხედავად

კარგა ხანია მიწყნარდა ექვსი ხმაურიანი წარმართებისა, რომელიც თანახლად ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში წარმოადგენილ ყოველ სპექტაკლსა თუ კონცერტს. ღრმად ცდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ თეატრი, ეს მხოლოდ სულის მოსალხენი ადგილია და სხვა არაფერი. მაყურებლის წინაშე ხელოვნების ნიმუშის გამოტანა მრავალ სირთულეებთან, ზოგჯერ გადაულახავ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. როგორც უკვე მოგახსენეთ ცაგერის სახალხო თეატრის ჰქონდა ბევრი სერიოზული გამარჯვება, როგორც ადგილზე, ასევე გასტროლებზე და ფესტივალებზეც. მიმდინარე წლის აგვისტოში უნდა ჩაგვეტარებინათ თეატრალური კვირეული. მაყურებელი იხილავდა როგორც აღდგენით სპექტაკლებს, ასევე პრემიერას ლ. თაბუკაშვილის „დარბეზს მიღმა გაზაფხულია“, მაგრამ რამდენიმე თვეა, რაც სარაიონო კულტურის სახლი დადგა ძალზე სერიოზული პრობლემების წინაშე. არა გვაქვს მინიმალური პირობებიც კი ღონისძიების ჩასატარებლად. მოგვხსენებთ, რომ 2 წლის განმავლობაში 4—ჯერ გაიქურდა კულტურის სახლი და დაიკარგა ყველა ის ტექნიკური საშუალება, რომლის შეძენა ამ დროში წარმოუდგენელია. აღნიშნული დაკლები სხვა მრავალი პრობლემა ხელს გვიშლის და დროულად ვერ მიგვაქვს მაყურებელამდე ესა თუ ის ღონისძიება. ახლა რაიონში მრავალი სტუმარი, აფხაზეთიდან

დევნილია, მიუხედავად აღნიშნულისა, დღევანდელ სიტუაციაში ჩვენ შევეცდებით სიბოძო გაუფრთხილოთ ომის ტრაგედიით გულში ძრულ ადამიანებს, რომლებსაც მართლა სჭირდებათ იმედი ხვალნდელი დღისა, ამიტომაც უახლოეს დღეებში სარაიონო კულტურის სახლში ჩატარდება მუსიკალური—ლიტერატურული კომპოზიცია „მომადღე ქართველს ქართვის ნდობა და სიყვარული, და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“ ო. ჩხაიძის „თედორეს“ მიხედვით, საღამო იქნება საქველმოქმედო, შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემათ ლტოლვილებს. რაც შეეხება მაყურებელს, ბოდიშს მოვუხდით ხელოვნების მოყვარულთ, ხოლო იმათ კი, ვინც თეატრში დროის გასაყვანად, სალაზღანდაროდ, ზოგჯერ თები კი „ლიმონკების სათამაშო“ მოდის, შევახსენებ ცნობილი კრიტიკოსის გურამ ასათიანის სიტყვებს: „მაყურებელი თეატრში უნდა მოდიოდეს არა დასასვენებლად, არა გასართობად, ან თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად, არამედ იმ შევცებით, რომ თუ ის თეატრში არ მოვიდა, რაღაც უაღრესად საინტერესოს დააკლდება, რაღაცას დაკარგავს, რაღაცას ჩამორჩება.“ ჩვენც სწორედ ასეთი მაყურებელი გვჭირდება, რათა შევძლოთ ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა და კვლავ ჩვეული წარმატებით გამოსვლა შეგვეწიგნოთ, ძვირფასო ლეჩხუმელებო. დ. სალინაძე, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი.

### კრემინალური პარონია

ამ არაბულ დროს თავის სასარგებლოდ იყენებს დანაშაულის სამყარო. ისედაც მიიმა ცხოვრებით და დღე—ღამეა ლუკმა—პურის ამბნაში გაფრთხილ ადამიანებს იმის დარღვევა ახრჩობთ, რომ დღეს თუ ხვალ მოვლენ და იმ უპასუხისმგებლობას წააგონებენ, რაც მისთვის საარსებოა და მთელი ცხოვრება ის განმედიოთ ოფლითა და მიიმა ურთიერთ მოუპოვებია. უპასუხისმგებლობა კარგი მომენტია და დანაშაულ—ეზრის უპასუხისმგებლობა ვითრებით რაიონის პროკურორს ბატონ ავთანდილ მაღრაძეს. მიმდინარე წლის 23 ნოემბერს ცაგერის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მორიგის ვალერი თუთიასის დაუდგარი მომადგენი სამორიგაო ნაწილის წინასწარი დაკავების საკითხი განიხილა უსამართლო პატიმარ ზაზა და გიორგი ბახსოლიანები, მათთან ერთად განიცა ასევე პროკურორის მცდელობაში ეპრობანდის კახა ლიპარტელიანი, ოპარ—

ატიული სამხმარო დონის—კიბეების ბატარების შედგად ცხელ კვალზე დაკავებულ იქნა კახა ლიპარტელიანი, ხოლო დანაშაულის ამბნა მიმდინარეობს. რაც შეეხება ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციის მოშაპთა პასუხისმგებლობის საკითხს, აღნიშნული გადაწყვეტა ბატონის ფაქტთან დაკავშირებით აღმართულ სამხმარ მიმდინარე წინასწარი გამოძიების პროცესში და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა ინსპექციის დასკვნის მიღების შემდეგ. ამავე მიზეზს უპასუხა კანონიერი ჩადენილ დანაშაულთა შესახებ მოგახსენოთ—როგორც ქალაქის მოსახლეობისთვისაა ცნობილი, 1993 წლის 2 ნოემბერს, დღისით, მისიით, რაიონოვარა—ტივის საყვობიდან ღირებულადის გადახდის გარეშე მოხდა პურის ფაქტის მიმდინარე მიზეზი დატაცება, ყველა ის პირი, ვინც დატაცებულია მონაწილეობა ჩვენთვის ცნობილია, მათ მიმართ აღმართულია სისხლის სამართლის საქმე.

